ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03.37222101**
თარიღი:**01/08/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მიმდინარე წლის 28 ივლისს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N17 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა 2022 წლის ბიუჯეტი, რომელიც განისაზღვრა 27 814,0 ათ. ლარით. საკრებულოს 30 მაისის N20 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 29 683 862,63 ლარით და 1 ივლისის მდგომარეობით განისაზღვრა 57 497,86 ათასი ლარით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა გასული წლის გარდამავალი ნაშთის გარეშე შეადგინა 19849,6 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 37,84%-ია, ხოლო ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 16734,86 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 29,1%-ია.

კომისიამ იმსჯელა 2022 წლის მეორე კვარტალის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის შესრულების პროცესი ხასიათდება სტაბილურობით, რაც შესაბამისად პროპორციულად აისახება საბიუჯეტო ხარჯების დინამიკაში. აღნიშნული კი საფუძველს ქმნის წარმატებით შესრულდეს წლიური ფისკალური გეგმა.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი